

სს „ეროვნული საკრედიტო ინფორმაციის ბიურო“

2019 წლის ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება ზარალის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6

სს „ეროვნული საკრედიტო ინფორმაციის ბიურო“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2019-ის თარიღისთვის

	შენიშვნა	2019 ლარი	2018 ლარი	2017 ლარი
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	96 303	34 139	23 403
სულ გრძელვადიანი აქტივები		96 303	34 139	23 403
სასაქონლო მარაგები		-	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	98 614	118 532	164 814
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		659	260	2 116
სხვა მიმდინარე აქტივები	6	7 251 683	7 884 007	8 327 207
სულ მოკლევადიანი აქტივები		7 350 956	8 002 799	8 494 137
სულ აქტივები		7 447 259	8 036 938	8 517 540
ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	7	1 477 948	1 430 439	1 469 197
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1 477 948	1 430 439	1 469 197
სულ ვალდებულებები		1 477 948	1 430 439	1 469 197
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		113 953	113 953	113 953
გაუნაწილებელი მოგება		5 855 359	6 492 546	6 934 390
სულ საკუთარი კაპიტალი		5 969 312	6 606 499	7 048 342
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		7 447 259	8 036 938	8 517 540

სს „ეროვნული საკრედიტო ინფორმაციის ბიურო“
მოგება ზარალის ანგარიშგება 01.01.2019 - 31.12.2019 პერიოდისთვის

	შენიშვნა	2019 ლარი	2018 ლარი
ამონაგები	8	103 978	114 261
ამონაგების თვითღირებულება		(9 859)	-
საერთო მოგება		94 119	114 261
ადმინისტრაციული ხარჯები	9	(801 626)	(574 123)
ფინანსური ხარჯი		-	-
არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი		70 321	18 018
მოგება დაბეგვრამდე		(637 187)	(441 844)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/ზარალი		(637 187)	(441 844)

სს „ეროვნული საკრედიტო ინფორმაციის ბიურო“
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2019 - 31.12.2019
 პერიოდისთვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებ ელი მოგება	ჯამი
	ლარი	ლარი	ლარი
ნაშთი - 01.01.2018	7 048 342	-	7 048 342
საწესდებო კაპიტალის ცვლილება		-	-
გაცემული დივიდენდები			
პერიოდის მოგება		(441 844)	(441 844)
ნაშთი - 31.12.2018	7 048 342	(441 844)	6 606 499
საწესდებო კაპიტალის ცვლილება		-	-
გაცემული დივიდენდები	-		-
პერიოდის მოგება		(637 187)	(637 187)
ნაშთი - 31.12.2019	7 048 342	(1 079 031)	5 969 312

სს „ეროვნული საკრედიტო ინფორმაციის ბიურო“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

სს „ეროვნული საკრედიტო ინფორმაციის ბიურო“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 16/12/2002). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ძველი თბილისის რაიონში, მ. კოსტავას ქ. №47/57. მისი ძირითადი საქმიანობაა მომსახურების გაწევა საინფორმაციო ტექნოლოგიურ სფეროში. იგი ასევე ახდენს კომპიუტერული პროგრამების შექმნასა და რეალიზაციას. ამასთან კომპანია გასცემს სესხებს საპროცენტო შემოსავლების მიღების მიზნით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურებიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მომსახურება დამკვეთს მიეწოდება.

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

მოგების გადასახადის ხარჯი გამორიცხავს მოგების გადასახადს დასაბეგრ ხარჯებზე, რადგან აღნიშნული არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას (ის აღიარდება, როგორც საოპერაციო ხარჯი მოგებაში ან ზარალში).

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე. წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- | | |
|--------------------------------------|------------------|
| • შენობა-ნაგებობები | 5 პროცენტი |
| • სატრანსპორტო საშუალებები | 10 – 20 პროცენტი |
| • მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა | 10 – 30 პროცენტი |

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აისახება დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, მაგრამ არ აღემატება 10 წელს.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

შენიშვნა 4.**ძირითადი საშუალებები**

ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	
	ლარი
თვითღირებულება	
1 იანვარი 2017 წ.	-
შემოსვლა	26 345
გასვლა	-
31 დეკემბერი 2017 წ.	26 345
დაგროვილიცვეთა და გაუფასურება	
1 იანვარი 2017 წ.	-
წლიური ცვეთა	(2 942)
გასული აქტივის ცვეთა	-
გაუფასურება	
31 დეკემბერი 2017 წ.	(2 942)
საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი 2017 წ.	23 403
ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	
	ლარი
თვითღირებულება	
1 იანვარი 2018 წ.	26 345
შემოსვლა	17 885
გასვლა	-
31 დეკემბერი 2018 წ.	44 230
დაგროვილიცვეთა და გაუფასურება	
1 იანვარი 2018 წ.	(2 942)
წლიური ცვეთა	(7 149)
გასული აქტივის ცვეთა	-
გაუფასურება	
31 დეკემბერი 2018 წ.	(10 092)
საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი 2018 წ.	34 139

	ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	ლიზინგით მიღებული ძირითადი საშუალებები
	ლარი	ლარი
თვითღირებულება		
1 იანვარი 2019 წ.	44 230	-
შემოსვლა	263	82 129
გასვლა	-	-
31 დეკემბერი 2019 წ.	44 493	82 129
დაგროვილიცვეთა და გაუფასურება		
1 იანვარი 2019 წ.	(10 092)	-
წლიური ცვეთა	(8 887)	(11 341)
გასული აქტივის ცვეთა	-	-
გაუფასურება		
31 დეკემბერი 2019 წ.	(18 978)	(11 341)
საბალანსო ღირებულება		
31 დეკემბერი 2019 წ.	25 515	70 788

შენიშვნა 5.**სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

	2019 ლარი	2018 ლარი	2017 ლარი
მოთხოვნები ადგილობრივი მიწოდებიდან	98 614	118 532	164 814

შენიშვნა 6.**სხვა მიმდინარე აქტივები**

	2019 ლარი	2018 ლარი	2017 ლარი
გადახდილი ავანსი	6 430	12 719	9 253,70
გაცემული სესხი და მისაღები პროცენტები	1 076 329	1 659 161	8 227 883,30
საგადასახადო აქტივი	-	1 777	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	6 031 985	6 038 230	38 230,00
დაუმთავრებელი წარმოება - კომპიუტერული პროგრამა	126 781,59	92 637,50	47 350,00
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	-	73 427,89	-
სხვა აქტივები	10 157,57	6 054,89	4 489,86
სულ:	7 251 683	7 884 007	8 327 207

შენიშვნა 7.

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	2019	2018	2017
	ლარი	ლარი	ლარი
სავაჭრო ვალდებულებები	482 041	472 935	465 765
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	99 389	647	12 650
საგადასახადო ვალდებულებები	3 630	-	2 684
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	449 890	624 293	636 475
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	45 539	-	-
გადასახდელი პროცენტები	82 041	25 758	38 557
გადასახდელი დივიდენდები	223 631	223 631	223 631
სხვა ვალდებულებები	91 787	83 174	89 436
სულ:	1 477 948	1 430 439	1 469 197

შენიშვნა 8.

ამონაგები	2019	2018
	ლარი	ლარი
საქონლის გაყიდვიდან	2 303	2 131
მომსახურების გაწევიდან	101 675	112 130
	103 978	114 261

შენიშვნა 9.

	2019 ლარი	2018 ლარი
ადმინისტრაციული ხარჯები		
დასაქმებულთა ანაზღაურება	(619 287,43)	(507 127,67)
ცვლელთა და ამორტიზაცია	(20 227,33)	(7 149,47)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(162 111,34)	(59 845,96)
სულ:	(801 626)	(574 123)

10. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2020 წლის 28 სექტემბერს.